სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უფროსს

ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2015 წლის 29 დეკემბერს შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ **ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე** გაცემულია №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო 2019 წლის 26 ივლისს, აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-714).

ამასთან, იმავე მიწის ნაკვეთზე, სადაც განთავსებულია ინსინერაციის საწარმო, ფუნქციონირებს შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ **ნარჩენების აღდგენის (ნარჩენების გაუვნებლება-დეტოქსიკაცია, ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაცია და გამოყენებული ზეთების რეგენერაცია)** საწარმო, რომელზეც 2017 წლის 11 იანვარს გაცემულია №4 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბერს – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1261) - ნარჩენების აღდგენის (ნარჩენების გაუვნებლება-დეტოქსიკაცია, ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაცია და გამოყენებული ზეთების რეგენერაცია) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე.

ვინაიდან, მითითებული საწარმოები, კერძოდ ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმო და ნარჩენების აღდგენის და განთავსების (ნარჩენების გაუვნებლება-დეტოქსიკაცია, ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაცია და გამოყენებული ზეთების რეგენერაცია) საწარმო ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, ასევე განთავსებულია ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ განცხადება, რის საფუძველზეც, 2026 წლის 16 ივლისს გაიცა აღნიშნული გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ ბრძანება №2-297.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 4 თებერვალს და 2025 წლის 6 თებერვალს **ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე** გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილებები (შესაბამისად ბრძანება №2-75 და ბრძანება № 57/ს), რომლის საფუძველზე, დაგეგმილი ცვლილება დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„17“ 07 2026 წ
№ 10954

ხოლო, 2025 წლის 7 თებერვალს, **ნარჩენების აღდგენის და განთავსების (ნარჩენების გაუვნებლება-დეტოქსიკაცია, ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაცია და გამოყენებული ზეთების რეგენერაცია)** საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №64/ს), რომლის თანახმად, საქმიანობა ასევე დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას.

შესაბამისად, სააგენტოს მიერ გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებებისა (ბრძანება №64/ს, ბრძანება № 2-75 და ბრძანება №57/ს), „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7^1 მუხლისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 სექტემბრის №417 დადგენილების საფუძველზე, მომზადდა წინამდებარე ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

დანართების სახით წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი (როგორც ელექტრონული, ისე მატერიტალური სახით, გარდა Shp ფაილებისა):

1. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
2. არატექნიკური რეზიუმე;
3. Shp ფაილები;
4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
5. ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
6. შენიშვნებზე რეაგირების ცხრილი;
7. მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება;
8. წყალსარგებლობის შესახებ ხელშეკრულება;
9. მოსაკრებლის ქვითარი;
10. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ 2026 წლის 16 ივლისის ბრძანება №2-297.

პატივისცემით,

შპს „მედიკალ ტექნოლოგის" დირექტორი

ზაზა ბერაძე